**სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)**

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | სამართალი/LAW |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებუ-ლი და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.<br><br>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | სამართლის დოქტორი, პროფ. დევი ხვედელიანი. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში) |

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

| | |
|---|---|
| **პროგრამის მიზნები** | • შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტების, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების შესახებ;<br>• გამოუმუშავოს კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;<br>• გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;<br>• გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის |

| | |
|---|---|
| | და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;<br>• გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;<br>• გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართ-ველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. |
| | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>• სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს,სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის |

| | |
|---|---|
| სწავლის შედეგები | ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;<br>• სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური სამართალწარმოების თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს;<br>• სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;<br>• დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;<br>• იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს, იურიდიული პროფესიების ზნეობრივ ასპექტებს, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალურ სტანდარტებს. |

| | |
|---|---|
| | **უნარი:**<br>• აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;<br>• არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;<br>• შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;<br>• შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. |
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**<br>• იცავს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და ინდივიდთა უფლებების განხორციელებასას მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; |

| | |
|---|---|
| | • მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით. |
| **სწავლება-სწავლის მეთოდები** | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.). |
| **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა** | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და |

კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

| | |
|---|---|
| | ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br><br>(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში  დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.  სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. |
| **დასაქმების სფეროები** | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხა-რისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართვე-ლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმია-ნობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:<br>• საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;<br>• სასამართლო ორგანოებში;<br>• სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;<br>• საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში. |
| **სწავლის გაგრძელების საშუალება** | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავ-ლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამარ-თლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის |

| | |
|---|---|
| | სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.<br><br>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. |
| **პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა** | სამართალის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:<br><br>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;<br>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;<br>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;<br>• სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.<br>• იმიტირებული სასამართლო დარბაზი<br>• კრიმინალისტიკის ლაბორატორია<br>• კონსტიტუციური სამართლის კლინიკა<br>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. |
| **პროგრამის ადამიანური რესურსი** | სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში) |

**პროგრამის სტრუქტურა**

<table>
<tr><td colspan="2">სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:<br><br>(A) არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტს; (B) უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტს; (C) სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულს; (D) საჯარო სამართლის მოდულს;<br>(E) კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულს; (F) სისხლის სამართლის მოდულს; (G) პრაქტიკული უნარების კომპონენტს.<br><br>მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.</td></tr>
<tr><td>(A) არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტი<br>თავისუფალი სავალდებულო კურსები<br>(25 ECTS, მათ შორის 10 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსები, 15 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები)</td><td>არასპეციალობის სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში.<br><br>არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი, მათ შორის 10 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსების, ხოლო 15 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე. არასპეციალობის სავალდებულო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და აკადემიური წერის სწავლებას. არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს პოლიტიკის ძირითადი ცნებების, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების, ლოგიკის, ეთიკის, კულტუროლოგიის და სხვ. სწავლებას. აღნიშნული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</td></tr>
<tr><td>(B) უცხოური</td><td>უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი, მათ შორის 5</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **(ინგლისური) ენის კომპონენტი**<br><br>(25 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები) | კრედიტი პროფესიისათვის რელევანტური ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსის ხარჯზე.<br><br>უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.<br><br>სამართალის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა, უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლებას აგრძელებს B 1.1 დონიდან, ხოლო სტუდენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისური ენისა, ინგლისური ენის სწავლებას იწყებს A 1 დონიდან. |
| **(C) სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული**<br><br>(15 ECTS, მათ შორის 10 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსები, 5 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები) | სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი, მათ შორის 10 კრედიტი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე (შესავალი სამართალ-მცოდნეობაში, ქართული სამართლის ისტორია), ხოლო 5 კრედიტი მოდულის არჩევითი სასწავლო კურ-სების ხარჯზე (რომის სამართლის საფუძვლები, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია).<br><br>სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიღრმავოს ცოდნა სამართლის ისტორიის სფეროში. |

| | |
|---|---|
| **(D) საჯარო სამართლის მოდული**<br><br>(104 ECTS, მათ შორის 50 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსები, 54 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები) | საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 50 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 48 კრედიტი.<br><br>საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში.<br><br>საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 36 კრედიტი, დანარჩენი 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს საჯარო სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. |
| **(E) კერძო/ბიზნესის სამართლის მოდული**<br><br>(98 ECTS, მათ შორის 50 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსები, 48 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები) | კერძო/ბიზნეს სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 50 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 54კრედიტი.<br><br>კერძო/ბიზნეს სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში.<br><br>კერძო/ბიზნეს სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 36 კრედიტი, დანარჩენი 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის მოდულის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს კერძო/ბიზნეს სამართლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება |

| | |
|---|---|
| | ეღიაროს კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. |
| **(F) სისხლის სამართლის მოდული**<br><br>(85 ECTS, მათ შორის 25 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსები, 60 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები) | სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 25 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 60 კრედიტი.<br><br>სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში.<br><br>სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 36 კრედიტი, დანარჩენი 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის მოდულის ან კერძო/ბიზნეს სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს სისხლის სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. |
| **(G) პრაქტიკული უნარების კომპონენტი**<br><br>(12 ECTS, მათ შორის 6 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსი, 6 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები) | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიული ეთიკის სავალდებულო სასწავლო კურსს (6 კრედიტი). პრაქტიკული უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალში და საჯარო სამართლში, რაც გულისხმობს შესაბამის დარგებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებას, არჩევითი კურსის სახით ასევე გათვალისწინებულია საჯარო სამართლის მიმართულებით კლინიკის გავლა, რომლის მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაზე მეტად მორგება, აღნიშნული კურსებიდან სავალდებულოა 6 კრედიტის დაგროვება. სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკას. პრაქტიკის კომპონენტი საშუალებას აძლევს ბაკალავრს მიიღოს პრაქტიკულ |

| | |
|---|---|
| | უნარებზე დაფუძნებული განათლება და მოიპოვოს შესაბამისი აკადემიური კრედიტი (6 კრედიტი) აღნიშნული კომპონენტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. |

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | | **თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები** | **5** | **5** | | | | | | | | |
| 1. | LAWBA01 | არ გააჩნია | აკადემიური წერა | 5/125 | | | | | | | | 34 | 91 |
| 2. | LAWBA02 | არ გააჩნია | სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| | | | **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები** | **10** | **5** | | | | | | | | |
| 3. | LAWBA03 | არ | საქართველოს ისტორია | 5/12 | | | | | | | | 48 | 77 |

---

[1] ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
[2] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
[3] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო
[4] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | გააჩნია | | 5 | | | | | | | | | |
| 4. | LAWBA04 | არ გააჩნია | დემოკრატია და მოქალაქეობა | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 5. | LAWBA05 | არ გააჩნია | პოლიტიკის მეცნიერების შესავალი | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 6. | LAWBA06 | არ გააჩნია | გარემო და ბუნებრივი რესურსების მართვა | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 7. | LAWBA07 | არ გააჩნია | კარიერის მართვა | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| 8. | LAWBA08 | არ გააჩნია | ფსიქოლოგია | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| 9. | LAWBA09 | არ გააჩნია | საინფორმაციო ტექნოლოგიები | | 5/125 | | | | | | | 34 | 91 |
| | | | **ინგლისური ენის კომპონენტი[5]** | **5** | **5** | **5** | **5** | **5** | | | | | |
| 10 | LAWBA09 | არ | ინგლისური ენის პრაქტიკული | 5/12 | | | | | | | | 62 | 63 |

[5] ინგლისური ენის კომპონენტი - სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა. სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალი დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ინგლისური ენის კომპონენტიდან აგროვებს მხოლოდ 5 კრედიტს პროფესიული ინგლისური ენის B2-ის სასწავლო კურსის ხარჯზე.

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | გააჩნია | კურსი (B 1.1) | 5 | | | | | | | | | |
| 11 | LAWBA10 | LAWBA 09 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2) | | 5/125 | | | | | | | 62 | 63 |
| 12 | LAWBA11 | LAWBA 10 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1) | | | 5/125 | | | | | | 62 | 63 |
| 13 | LAWBA12 | LAWBA 11 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2) | | | | 5/125 | | | | | 62 | 63 |
| 14 | LAWBA13 | LAWBA 12 | ინგლისური ენა იურისტებისთვის (B2) | | | | | 5/125 | | | | 62 | 63 |
| | | | **უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი[6]** | **5** | **5** | **5** | **5** | **5** | | | | | |
| 15 | LAWBA14 | არ გააჩნია | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 1) | 5/125 | | | | | | | | | |
| 16 | LAWBA15 | LAWBA 14 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2) | | 5/125 | | | | | | | 62 | 63 |

[6] უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა გარდა ინგლისური ენისა.

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| 17 | LAWBA16 | LAWBA 15 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1) | | | 5/12<br>5 | | | | | | 62 | 63 |
| 18 | LAWBA17 | LAWBA 09 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2) | | | | 5/12<br>5 | | | | | 62 | 63 |
| 19 | LAWBA18 | LAWBA 10 | ინგლისური ენა იურისტებისთვის (B1) | | | | | 5/12<br>5 | | | | 62 | 63 |
| | | | **სპეციალობის მოდულები** | | | | | | | | | | |
| | | | **მოდული - სამართლის საფუძვლები და მეთოდები** | | | | | | | | | | |
| | | | **მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები** | **10** | **5** | | | | | | | | |
| 20 | LAWBA19 | არ გააჩნია | შესავალი სამართალმცოდნეობაში | 5/12<br>5 | | | | | | | | 48 | 77 |
| 21 | LAWBA20 | არ გააჩნია | ქართული სამართლის ისტორია | 5/12<br>5 | | | | | | | | 48 | 77 |
| | | | **მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | |
| 22 | LAWBA21 | არ | საზღვარგარეთის ქვეყნების | | 5/12 | | | | | | | 48 | 77 |

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | გააჩნია | სამართლის ისტორია | | 5 | | | | | | | | |
| 23 | LAWBA22 | არ გააჩნია | რომის სამართლის საფუძვლები | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| | | | **მოდული - საჯარო სამართალი** | | | | | | | | | | |
